



სამუშაო შეხვედრა შიდა ქართლის რეგიონში
გორი, 2015 წლის 27 მარტი

სესია შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები

მოდერატორი :

ირინე საგანელიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

მონაწილე:

ნინო ცინცაძე - კულტურის სამსახურის სპეციალისტი, კასპი

შეხვედრას კულტურის სამსახურის სპეციალისტი ესწრებოდა. ზოგადად, საუბარი წარიმართა განათლების გლობალური პრობლემიდან გამომდინარე. კერძოდ, ბოლო პერიოდში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სიმწირიდან გამომდინარე, რეგიონში განათლების დონე დაბალია; სასკოლო ავტობუსების არარსებობის გამო, ბავშვები ვერ ახერხებენ შორ მანძილზე მდებარე სკოლებში სიარულს, რაც თავისთავად განათლებაზე აისახება. აქედან გამომდინარე, კულტურის სფერო ნაკლებად არის ხელმისაწვდომი. წარმოჩინდა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა რეგიონის სოფლებში ბიბლიოთეკების, კულტურის ცენტრების, კინოდაარბაზების არარსებობა. პრობლემები მრავლადაა ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისითაც, რეგიონში გასავითარებელია კულტურული ტურიზმი. არ არსებობს სახელოვნებო სკოლები და კადრები საჭიროებენ გადამზადებას.

დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები :

- კულტურის ობიექტების გაუმართავი ან არარსებული ინფრასტრუქტურა და მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- სახელოვნებო კუთხით კადრების დეფიციტი
- პროფესიული კადრების პრობლემა
- კულტურის როლის მნიშვნელობის შესახებ არსებული დაბალი ცნობიერება საზოგადოებაში
- რეგიონში გასავითარებელია კულტურული ტურიზმი

- ნაკლები ინფორმირებულობა შემოქმედებითი ინდუსტრიისა და ამ მიმართულებით მუშაობის შესახებ

განსახორციელებელი ქმედებები :

- კულტურული ობიექტების ინფრასტრუქტურის მონესრიგება ეტაპობრივად
- სახელმწიფო პოლიტიკის ჩართვა პროფესიული კადრების მომზადებაში
- მეტი კონტაქტის დამყარება ცენტრსა და რეგიონს შორის
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან პროფესიული რჩევებისა და კონსულტაციების განწევა
- სამინისტროს მხრიდან მეტი ჩართულობა დაგეგმილ ღონისძიებებსა და გამოფენებში
- რეგიონებში არსებული რესურსის გამოყენება
- სამინისტროს მიერ საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების კუთხით რეგიონების ხელშეწყობა
- სამინისტროსა და რეგიონების კულტურულ ობიექტებს შორის კონტაქტების გაღრმავება, ხელშეწყობა მასტერკლასებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების კუთხით
- ახალგაზრდობის ჩართულობა, მეტი ინფორმირებულობა, ინტერესის გაღრმავება
- შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად
- რეგიონების კულტურული ღირშესანიშნაობების, შემოქმედებითი რესურსისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით შემოქმედებითი, შემოსავლებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება
- რეგიონებში არსებული კულტურული პოტენციალისა და პრობლემების გათვალისწინებით პრიორიტეტების განსაზღვრა, აქტივობების სწორი დაგეგმვა.